აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის

დადგენილება №33

2019 წლის 23 სექტემბერი

ქ. თბილისი

,,აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის დეპარტამენტის დებულების დამტკიცების შესახებ“ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2014 წლის 7 აგვისტოს №34 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადებისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის დეპარტამენტის ლიკვიდაციის მიზნით სალიკვიდაციო კომისიის შექმნის თაობაზე“ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2019 წლის 8 აგვისტოს №19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1

,,ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-18 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, ,,აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის დეპარტამენტის დებულების დამტკიცების შესახებ“ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2014 წლის 7 აგვისტოს №34 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადებისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის დეპარტამენტის ლიკვიდაციის მიზნით სალიკვიდაციო კომისიის შექმნის თაობაზე“ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2019 წლის 8 აგვისტოს №19 დადგენილებაში (სსმ, ვებგვერდი, 13/08/2019, სარეგისტრაციო კოდი: 010340000.32.061.016269) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. დადგენილების პირველი მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. 2019 წლის 1 ნოემბრიდან ძალადაკარგულად გამოცხადდეს „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის დეპარტამენტის დებულების დამტკიცების შესახებ“ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2014 წლის 7 აგვისტოს №34 დადგენილება.“.

2. დადგენილების მე-2 მუხლის პირველი აბზაცი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,კომისიამ 2019 წლის პირველ ნოემბრამდე უზრუნველყოს:“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

აფხაზეთის ავტონომიური
რესპუბლიკის მთავრობის
თავმჯდომარის მოვალეობის
შემსრულებელი **რუსლან აბაშიძე**